სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ივნისი, 2025 წ.

ბრძანება N 01-08/397

ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის ,,სოციალური სტიპენდიის“
დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სოციალური სტიპენდიის გაცემის დაფინანსების თაობაზე ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული 2025 წლის 06 მაისის N28 ხელშეკრულების, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოში გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (21/03/2025 *MES1250000316739), ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა წერილის (26/03/2025 *MES7250000337462 - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტებისათვის ერთჯერადი სოციალური სტიპენდიის გაცემის წესის თაობაზე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 02 ივნისის №609954 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად, ერთჯერადად დაენიშნოს და გაიცეს **,,სოციალური სტიპენდია'' 625 ლარის ოდენობით** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა აცნობოს პროფესიულ სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს.
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისათვის ,,სოციალური სტიპენდიის“ დანიშვნისა და გაცემის თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 03 ივნისის N 01-08/397 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებზეც სოციალური სტიპენდიის გაცემის დაფინანსების თაობაზე ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული **2025 წლის 06 მაისის N28 ხელშეკრულების საფუძველზე ბსუ-ში** ერთჯერადად დაენიშნა და გაიცემა **,,სოციალური სტიპენდია'' 625 ლარის ოდენობით:**

,,სოციალური სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
მარიამ ირემაძე		„საექთნო განათლება“ (2024 წლის საშემოდგომო მიღება)	პროექტი „მწვანე სტარტი“
გიორგი ანთაძე		„საფინანსო სერვისები“ (2024 წლის საშემოდგომო მიღება)	პროექტი - მაღალმთიან სოფელ ზოტში მეფუტკრეობის განვითარების პროექტი - ფუტკრის ბილიკი ზოტში